



თარგმანი ინგლისურიდან

საქართველოში აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ
მიმართულ ღონისძიებათა ქვეყნის ერთიანი საკოორდინაციო საბჭო

საანგარიშო პერიოდი: 2017 წლის მარტი - მაისი

ანგარიშში ასახულია ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს მიერ 2017 წლის მარტი - მაისი
პერიოდში განხორციელებული საქმიანობის ძირითადი ასპექტები

საფუძვლები

საქართველოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო (ქსს) წარმოადგენს გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული ტუბერკულოზისა და აივ/შიდსის პროგრამების განხორციელების ცენტრალურ მექანიზმს. ქსს წარმოადგენს მრავალსექტორულ პლატფორმას ქვეყნის მიერ პროგრამებზე პასუხისმგებლობისათვის, აივ-ის და ტუბერკულოზის პოლიტიკისა და პროგრამული საკითხების გარშემო ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებისათვის. ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო თავის შემადგენლობაში აერთიანებს როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლებს, მათ შორისაა სამთავრობო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მულტი- და ბილატერალური პარტნიორები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, კერძო ბიზნესის წარმომადგენლები, დაავადებით დაზარალებული პირები და პაციენტები. ქსს-ს საქმიანობა რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივნისის დადგენილებით და 2015 წლის 1 ივნისის ქსს-ს სახელმძღვანელო დოკუმენტით.

საზედამხედველო საქმიანობა/ ქსს-ს სხდომები

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სხდომები

ანგარიშგების პერიოდში გაიმართა ქსს-ს ერთი სხდომა (ქსს-ს 86-ე სხდომა, 2017

წლის 10 აპრილი). სხდომის მსვლელობისას წარდგენილ და განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: გლობალური ფონდის პროექტების მიმდინარეობის სტატუსი, საზედამხედველო კომიტეტის ანგარიში, ზიანის შემცირების ევრაზიის ქსელის ინიციატივა თემის დონეზე შპრიცების და ნემსების პროგრამის და მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შექმნის შესახებ, ინფორმაცია გლობალური ფონდის რეგიონული პროექტის „აღმოსავლეთ ევროპაში და ცენტრალურ აზიაში მსმ-ებისა და ტრანსგენდერების აივ/შიდსის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაძლიერებისკენ მიმართული თემის ქმედებები“, ინფორმაცია დაფინანსების განაცხადის შემუშავებაში მჭიდრო ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით გამართული სათემო ორგანიზაციების შეხვედრების შედეგების შესახებ. აივ პოზიტიური პირების მიერ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ამბულატორიული კომპონენტით სარგებლობის საკითხისადმი მიძღვნილი დისკუსიის შემდეგ გაიმართა შეხვედრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან და დეპარტემენტის წარმომადგენელთან. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ აივ პოზიტიური თემის წარმომადგენელი, ქსს-ს თავმჯდომარის მოადგილე, სამდივნო. აივ/შიდსთან დაკავშირებული სტიგმა და დისკრიმინაცია და ინფორმაციის ნაკლებობა იქნა დასახელებული აივ პოზიტიური პირების მიერ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არსებული სერვისების/შელავათების არასრული გამოყენების მიზეზებად. დაიგეგმა შესაბამისი ზომების განხორციელება.

საზედამხედველო კომიტეტის შეხვედრები/საზედამხედველო ვიზიტები.

ანგარიშების პერიოდში გაიმართა საზედამხედველო კომიტეტის ერთი სხდომა (2017 წლის 24 მაისი). სხდომის მსვლელობისას განხილულ იქნა 2016 წლის ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდის დეშბორდები (პ2) და 2017 წლის იანვარი - მარტის პერიოდის დეშბორდები (აივი - პ3; ტბ - NFM - პ1). წარდგენილ იქნა და შეთანხმდა საზედამხედველო კომიტეტის 2017 წლის მარტი - 2018 წლის თებერვალი პერიოდის სამუშაო გეგმა. 2017 წლის ივნისისთვის დაიგეგმა საიტ ვიზიტი ტბ მობილურ ამბულატორიაში.

გარდამავალი პერიოდის დაგეგმვა

პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტი (პასკ)

2017 წლის 11 მაისს გაიმართა პასკ-ის მე-8 შეხვედრა. შეხვედრის ამოცანები იყო: გლობალური ფონდის კომენტარებზე საქართველოს გარდამავალი პერიოდის გეგმის შესახებ უკუკავშირის განხილვა და შემოთავაზებულ ცვლილებებსა და რეკომენდაციებთან დაკავშირებით პასკ-ის კომენტარების შემუშავება.

შეთანხდა რომ, რომ პასკ-ი გააგრძელებს მუშაობას გლობალური ფონდის უკუკავშირის დოკუმენტზე ელექტრონულ ფორმატში. შეთანხმების შემდეგ პასკ-ის კომენტარები დანართის სახით დაერთვება ოქმს და გაიგზავნება გლობალურ ფონდში.

შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს დოკუმენტი მცირე მასშტაბიანი ფოკუსური კვლევის შესახებ. კვლევა ჩატარდა გლობალური ფონდის მიერ მხარდაჭერილი თემის, უფლებების და გენდერული ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში. გარდამავალ გეგმასთან დაკავშირებით სამოქალაქო საზოგადოებისა და თემის უკუკავშირის მოძიების ინიცირება მოხდა ზიანის შემცირების ევრაზიის ქსელის მიერ. კვლევის მიზანი იყო გეგმის დოკუმენტზე სამოქალაქო საზოგადოების აზრის გაგება და პროცესში თემის ჩართულობის ტექნიკური მხარდაჭერის საჭიროებების გამოვლენა. დოკუმენტი აღიარებს გარდამავალი გეგმის შემუშავების პროცესში ძირითადი მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების ინტენსიურ (და შესაძლოა უპრეცედენტოსაც კი – როგორც ეს დოკუმენტშია ნახსენები) ჩართულობას.

ქსს-ს ევოლუციის გეგმა

Euro Health Group-ის ტექნიკური დახმარების ფარგლებში ქსს-ს ევოლუციის შესახებ სამუშაოს გაგრძელებისათვის 2017 წლის 26-30 ივნისისთვის დაიგეგმა კონსულტანტების ვიზიტი. ელექტრონულ ფორმატში მოხდა შეთანხმება ქსს-სთან პასკ-სთვის ქსს-ს ევოლუციის სამუშაო ჯგუფის ფუნქციების მინიჭების თაობაზე.

აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ტუბერკულოზის რეგიონული პროექტის ჯანმრთელობის სისტემების გაძლიერების (TB-REP/HSS) ეროვნული

სამუშაო ჯგუფი

ანგარიშგების პერიოდში ჯგუფის შეხვედრა არ ჩატარებულა. თუმცა, ჯგუფის წევრები დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თაოსნობით აქტიურად მსჯელობდნენ ტბ პროგრამაში ადამიანური რესურსების მოსალოდნელ კლებასთან დაკავშირებით. აღნიშნული მოსალოდნელია ტუბერკულოზის სფეროში მომუშავე სპეციალისტების დიდი ნაწილის ასაკიდან და ახალგაზრდა სპეციალისტების შედინების დაბალი დონიდან გამომდინარე. საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში გაიმართა შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა რისკების შესამცირებლად გასატარებელი აუცილებელი ზომები. მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

- შეთანხმდა დაუყოვნებელ განხორციელებას ქმედებები - ადამიანური რესურსები;
- ტბ დეტექციის რეგიონული/რაიონული ცვალებადობის მიზეზების იდენტიფიცირების მიზნით ოპერაციული კვლევის ჩატარება.
- ორი თვის პერიოდში მოხდეს რუკაზე დატანის დასრულება და შემუშავდეს დეტალური გეგმა იმ შერჩეული დაწესებულებებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ გარკვეული საჭიროებები, მათ შორის სერვისის მიწოდება, შტატის გადამზადება და დაფინანსება/ პროვაიდერებისათვის გადახდის სქემა.
- გადაიხედოს სერვისის მიწოდების მოდელი რეგიონულ დონეზე ვერტიკალური პროგრამების შენარჩუნების და ქვედა დონეებზე პირველადი ჯანდაცვის სისტემაში ინტეგრირების საკითხის განხილვის მიზნით.

ტუბერკულოზის სფეროში კლინიკური კვლევების კოორდინაციის ჯგუფი

2017 წლის 29 მაისს გაიმართა ტუბერკულოზის სფეროში კლინიკური კვლევების კოორდინაციის ჯგუფის შეხვედრა. შეხვედრაზე წარდგენილ და განხილულ იქნა დაგეგმილი და მიმდინარე კვლევების ამჟამინდელი სტატუსი:

endTB

კვლევა იმყოფება განხორციელების აქტიურ ფაზაში. ადგილზეა კვლევის ჩატარებისათვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია. 2016 წლის დეკემბერში ხელი

მოეწერა endTB კომპონენტი 2-ის ფარგლებში თანამშრომლობის შეთანხმებაზე ტუბ. ცენტრსა და MSF-ს შორის; კვლევაში უკვე ჩართულია პაციენტები.

STREAM

მიღებულია თანხმობა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან და ადგილობრივი ეთიკური კომიტეტისგან; განხორციელდა საიტის ინიციატა და პროტოკოლის ტრენინგი; ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა დაგეგმილია უახლოესი დღეების განმავლობაში; კვლევაში პირველი პაციენტის ჩართვის სავარაუდო თარიღია 2017 წლის ივნისი.

STAND

2017 წლის იანვარში კვლევა შეჩერდა ყველა საიტზე; კვლევაში ჩართულ ორ სუბიექტზე საქართველოში (აქედან ერთი შეწყვეტილი) მონიტორინგი გაგრძელდება 2017 წლის სექტემბრამდე; კვლევა დასრულდება ყველა საიტზე 2017 წლის დეკემბერში.

NIX-TB

2017 წლის 20 თებერვალს ხელი მოეწერა ორმხრივ ხელშეკრულებას ტუბერკულოზის ცენტრსა და TB Alliance შორის; 2017 წლის მარტში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ გასცა ნებართვა კვლევის ჩატარებაზე; 29-30 ივნისს იგეგმება საიტის ინიციატა და კვლევის მონაწილეთათვის ტრენინგი; საზოგადოების ჩართულობის პროექტის განხორციელების ვადაა მარტი 2017 - მარტი 2019. პირველი შეხვედრა პროექტის ფარგლებში დაიგეგმა 2017 წლის 8 ივნისისთვის.

გლობალური ფონდის გრანტები

ამჟამად მიმდინარეობს დაფინანსების ახალი მოდელის ფარგლებში ორი გრანტის განხორციელება:

NFM GEO-T-NCDC. განხორციელების პერიოდი: 2016 წლის ივლისი - 2019 წლის ივნისი.

NFM GEO-T-NCDC. განხორციელების პერიოდი: 2017 წლის 1 იანვარი - 2019 წლის 31 დეკემბერი.

2017 წლის 25 ივნისი

ანგარიში მოამზადა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სამდივნომ

ანგარიში გადათარგმნილია ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს მიერ